

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი

რეცენზია კლინიკური პრაქტიკის რეკომენდაციებისა და პროტოკოლის თაობაზე

ფრინველის გრიპი A(H5N1)

ნაციონალური გაიდლაინი
სრული ვერსია

დავალების განმარტება;

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირმა მოამზადა რეცენზია ფრინველის გრიპის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და თანდართული დაავადების მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) თაობაზე.

კლინიკური პრაქტიკის სახელმძღვანელო და პროტოკოლი შეაფასა საოჯახო მედიცინის ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც აერთიანებს მოქმედი საოჯახო მედიცინის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლებს.

I. ზოგადი კომენტარები

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ფრინველის გრიპის კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური სახელმძღვანელოსა და დაავადების მართვის სახელმწიფო სტანდარტის შემუშავება და დანერგვა, ამ პრობლემის ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობისა და მისი მართვადი ბუნების გათვალისწინებით უდავოდ საშური საქმეა. რეზენცირებული სახელმძღვანელო შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გაიდლაინებსა და საქართველოს ფრინველის გრიპის პანდემიისათვის მზადყოფნის ეროვნულ გეგმის საფუძველზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი ადაპტირებულია ქვეყნის სპეციფიკურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაიდლაინის ავტორები დარგის წამყვანი ექსპერტები არიან. გაიდლაინის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებამდე პროცესში ოჯახის ექიმების მონაწილეობა არსებითია პჯდ ექიმების როლის სწორად განსაზღვრისა და ჯანდაცვის სისტემის პირველ/მეორე დონეებს შორის შესაფერისი ურთიერთკავშირის ფორმირების თვალსაზრისით.

გაიდლაინი იწყება საინტერესო ეპიდემიოლოგიური მონაცემებით, სადაც აღწერილია საქართველოსთვის (რომელიც მდებარეობს ფრინველების გადაფრენის მარშრუტის გზაჯვარედინზე) სერიოზული საფრთხისა და გრიპისათვის მზადყოფნის გლობალური გეგმის მნიშვნელობა.

გაიდლაინის სტრუქტურა

რეცენზირებული სახელმძღვანელოს სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია კლინიკური პრაქტიკის ნაციონალური რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან (საბჭოს დებულება მუხლი 4, პუნქტი 14) და მოიცავს ფორმით განსაზღვრულ აუცილებელ თავებს.

თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი (ცხრილები, სქემები) ინფორმაცია მართვისა და მკურნალობის გზების თაობაზე, რაც გააიოლებს პრაქტიკოსი ექიმების მიერ ამ ინფორმაციის აღქმას.

გაიდლაინის შინაარსი

გაიდლაინი მოიცავს ფრინველის გრიპის გამოვლენისა და მისი მართვის უმთავრეს ასპექტებს. შინაარსი ჩამოყალიბებულია ნათლად. თავმოყრილია მსოფლიოში

ჩატარებული კვლევების შედეგები (ჯანმოს არა მკაცრი რეკომენდაციები, არამედ, ძალიან დაბალი ხარისხის მტკიცებულებები), რომელთა გაცნობა გაზრდის პრაქტიკოსი ექიმების მოტივაციას შეასრულონ მითითებული რეკომენდაციები. განსაკუთრებით საინტერესოა, სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები, გამოკვლევის სქემა პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის, რაც შესაფერის ქვეთავებში ნათლადაა ფორმულირებული.

შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

რეკომენდებული გამოკვლევებიდან პირველადი ჯანდაცვის ქსელში, ითვალისწინებს პაციენტის შეფასებას (ანამნეზის, კონტაქტების კვლევის, კლინიკური სიმპტომებისა და ნიშნების გათვალისწინებით), ეჭვის მიტანას და გაგზავნას სპეციალიზებულ მეორადი ჯანდაცვის ან რეფერალურ ჰოსპიტალში შემდგომი კვლევისა და კლინიკური მართვისათვის. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, გაიდლაინის (სტანდარტის) მოთხოვნები შესაბამისობაშია ქსელში არსებული რესურსებსა და ექიმების კომპეტენციასთან.

პროტოკოლები

წარმოდგენილი პროტოკოლი, ძირითადად, ითვალისწინებს დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) ფორმა №2-ის მოთხოვნებს, თუმცა კარგი იქნება დაზუსტდეს სტაციონარიდან გამოწერის შემდგომ, პირველადი ჯანდაცვის როლი და ფუნქციები სხვადასხვა შემთხვევებში (პაციენტი სრულად გაჯანსაღდა, პაციენტი ჯერ კიდევ ინფექციის წყაროა, მკურნალობის გაგრძელება, ა.შ.).

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი მიზანშეწონილად მიიჩნევა გარკვეული ცვლილებების შეტანას და პროტოკოლის იმგვარად ჩამოყალიბებას, სადაც დეტალურად იქნება განხილული:

- ოჯახის ექიმის როლი პაციენტის სტაციონარიდან გამოწერის შემდგომი მდგომარეობის მართვის საკითხებში;
- ოჯახის ექიმის როლი პრევენციული ღონისძიებების ჩატარებისას; ვინ ახორციელებს ინფექციასთან კონტაქტის რისკის ჯგუფებში ანტივირუსული პრეპარატებით პროფილაქტიკის მონიტორინგს, მედიკამენტების შესაძლო გვერდითი ეფექტებისა და ზიანის გამოვლენის თვალსაზრისით და სხვ.

II. სპეციფიკური კომენტარები

ქვემოთ წარმოდგენილია რამოდენიმე სპეციფიკური კომენტარი:

- ქვეთავში (8) „**რეაბილიტაცია/მეთვალყურეობა**“ - გამოჯანმრთელებული პაციენტი რაიმე სპეციალურ სარეაბილიტაციო ღონისძიებებს ან მეთვალყურეობას არ საჭიროებს. პროტოკოლში კი ქვეთავი (6) „**რეაბილიტაცია და დაკვირვება**“ ჩამოთვლილია მონიტორინგის სამიზნეები (სხვადასხვა გამოკვლევები), არ არის მითითებული ვადები, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები (ორგანიზაციები), მოსალოდნელი გართულებები და გართულებების მართვა.

- სასურველი იქნებოდა, პროტოკოლში განსაზღვრულიყო თუ ვინ ახორციელებს ინფექციასთან კონტაქტის რისკის ჯგუფებში ანტივირუსული პრეპარატებით პროფილაქტიკის მონიტორინგს, მედიკამენტების შესაძლო გვერდითი ეფექტებისა და ზიანის გამოვლენის თვალსაზრისით, როგორი უნდა იყოს მათი გამოვლენის შემთხვევაში მიღებული კლინიკური გადაწყვეტილებები და სხვ.
- პროტოკოლში, დაზუსტდეს ქათმის გრიპის მართვასთან დაკავშირებული:
 - პირველადი/მეორადი ჯანდაცვის ინტერფეისის დეტალები;
 - საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან ურთიერთობის დეტალები.

დასკვნა:

- რეცენზირებული სახელმძღვანელო, მისი ამომწურავი შინაარსისა და პირველადი ჯანდაცვის ექიმების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მნიშვნელობის გათვალისწინებით, დადებითად უნდა შეფასდეს.